

# ნეა ნეო

საქართველო  
თბილისი



ნახ. ა. კანდელაკისა

## სწორი განმარტება

— როგორ ფიქრად, შეხე მართლა სიცივის გამო გაიქცა შიტლერის ბანაკიდან  
 — შესაძლებელია: ვაჟი ყოველთვის ცდილობს საცივითიდან გაქცევას.

8/111  
 281

195831



# შპს-ი ქართული სოლი



ქართული  
სოლი

ბიშენს მეტად უყვარს ანალოგიები. ნაბიჯს ისე არ გადასდგამს, რომ ცხოვრების მიერ გამოძეული მკაცრი წესები მხედველობაში არ მიიღოს. მსჯელობის დროს ხომ ეს წესები მისთვის ურყევ არგუმენტს წარმოადგენს. ქუჩაში შეგხვდი ბიშენს, ლაპარაკი საგარეო თემაზე გეჭონდა.

— მე ვამტკიცებ, რომ... დაიწყეთ მან და პაპი-როსი მთხოვა.

— მე ვამტკიცებ, რომ ყველა სეზონის თავისი უანლო-ვისი დამოკიდებულება აქვს რთულ, ოჯახურ საკითხების გადაწყვეტის საქმესთან. მაკალითად, ზამთრის მონაწილეობას ცოლიანი კაცი უპირველეს, იმით გრძობს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მას უმართავენ დიალოგს.

— ახლა რას აპირებ ჩემო კარგო?

— რას უნდა ვაპირებდე ჩემო მშვენიერო? — მიუგებს იგი.

— არა, მაინც რა განზრახვა გაქვს გულიყო?

— მაინც რის შესახებ სულიყო?

— აი, იმის შესახებ რომ ზამთარი მოდის და კოტიკის პალტო საჭიროა.

— გისთვის?

— ჩემთვის.

— შენ აკი გაქვს ახალი პალტო!

— რის ხომ პოდკოტიკია, მე კი — კოტიკზე გელაპარაკებ.

— კა მაგრამ...

— არაფერი „მაგრამ“, მე ვიცოდი, რომ შენს მეზობელ თავში ასეთი ელემენტარული აზრი არ შეგედოდა. ღეროთ, რა უბედური ვარ, როგორ ვიტანებდი ამ აქლემის სელში. ტყუილად კი არ მეუბნებოდნენ, რომ შენი ღირსი არ არის, ტლანქია, ძუნწია, ხეპრავა.

ანი თავედბა და ანალოგიებით დიალოგის თეორიული ნაწილი, ხოლო პრაქტიკულ ნაწილში შედის ცრემლები, ჩხუბი, ზოგჯერ ჭურჭლის მტრევეც, შემდეგ ქმრის კაპიტულაცია, ამის შემდეგ თვით კოტიკის პალტო და უფრო შემდეგ კი — ისევ ადგრისიანი დიალოგი:

— ხომ ჩინებული კოტიკია, ჩემო კარგო?

— მშვენიერია, ჩემო მშვენიერო.

— ხომ მიხდება, გულიყო?

— პირდაპირ ვხატავს, სულიყო!

ამას შეიძლება უმეტეს შემთხვევაში კოცნაც მოხდეს, ან უფრო დაშაქრული ეპიტეტები და ოჯახური იდილია, რაც შედეგ სეზონამდე ასე ვთქვათ — გაზაფხულამდე გაგრძელდეს.

მაგრამ აი, მოდის გაზაფხული... არა, კი არ მოდის ის იწყება კიდევ და საცაა ზაფხულმა უნდა კარი მოაკაქუნოს. იწყება ახალი დიალოგი:

— ახლა რას აპირებ ჩემო კარგო?

— რას უნდა ვაპირებდე ჩემო მშვენიერო?

— არა, მაინც რა განზრახვა გაქვს გულიყო?

— მაინც რის შესახებ, სულიყო?

— აი, იმის შესახებ, რომ აგარაკებზე წასვლა საჭიროა.

— რატომ მაინცდამაინც მრავლობითი რიცხვით, ესე იგი რატომ „აგარაკებზე“ და არა აგარაკზე?

— იმიტომ, რომ ჯერ გახდომა მჭირდება და კისლოვოდსკი მინდა, შემდეგ მალარია მაქვს და მთის ჰავა მჭირია, მერე გულის სისუსტე მაქვს და ზღვა მინდა.

— კი მაგრამ...

— არაფერი „მაგრამ“, მე ვიცოდი, რომ შენი ობიექტულური გემოვნება ყველა ამაზე დაბლა დგას, ამას გარდა ტუნწი ხარ და ცოლის ჯანმრთელობას ფულის დაზოგვა გირჩევენია, ღმერთო, რა უბედური ვარ ამ სპილეს სელში, ტყუილად კი არ მეუბნებოდნენ, რომ... ერთის სიტყვით, სტანდარტულად მეორდება წინა — სეზონის სცენა. მრავალ შემთხვევაში საქმე კვლავ ქმრის კაპიტულაციით თავდება და აგარაკების მოვლის შემდეგ, ცოლსა და ქმარს შორის კვლავ დიალოგი იმართება:

— ხომ კარგად გავსუქდი ჩემო კარგო? — და ასე შემდეგ. მაგრამ აქ შეიძლება, ზოგმა წინდაუხედავმა ქმარმა ქარაგმით ითხოვს:

— კარგად გავსუქდი მშვენიერო, მაგრამ... ესე იგი ქმარს სურს მიუფოს, რომ მართალია „მშვენიერო“ — ე. ი.

მისი ნაგარაკალი იეულე გასუქდა, მაგრამ მის გასუქებას მოჰყვა მისი, ესე იგი ქმრის ჯიბის გახდენა. მაგრამ ცოლი „მაგრამზე“ აწყვეტინებს და იწყება იგივე სტანდარტული წუწუნი, რომლის დროსაც ირკვევა, რომ მისი ქმარი არა მარტო აქლემი და სპილო ყოფილა, არამედ — ბეჭმოტიც.

— რა ველაპარაკო ან ბეჭმოტი? — მრისხანება იგი — ისიც კი ვერ მოუფიქრებია, რომ ახლა სეზონი მოდის და მალაყელიანი ბოტები საჭირო... და სხვა ამგვარი.

ესე იგი ქარაგმით ეძლევა ქმარს სიგაალი შემდგომი სეზონისათვის მზადყოფნისა.

ბიშენს შევაწყვეტინე:

— ეს ყველაფერი, შეიძლება ნაწილობრივ ასეც იყოს, მაგრამ ახლა რა მოსატანია?

— როგორ არ არის მოსატანია, — შევაწყვეტინა მან, როცა საგარეო სეზონზე ვლაპარაკობ?

— კი მაგრამ ეგ ხომ განყენებული მსჯელობაა.

— არავითარი განყენებული და ემბირიული, — მე ვლაპარაკობ კონკრეტულ საკითხზე.

— მაინც რაზე, აღარ იტყვი?

— მოგახსენებ: საკითხი ენება ჩემს საგზურს. ეს ხომ კონკრეტულია

— მიამბე და ვნახოთ.

— ჰოდა, ყოველი სეზონის შესაბამისად მე მხედველობაში ვღებულხარ ყველა შესაძლებელ ოჯახურ ნიუანსს იმიტომ, რომ ჩემი ცოლი მტკიცე ხასიათის ქალია. მთლად ერთხელ, ერთხელ გადავუხვიე ამ პრინციპს და ვიწვინე კიდევ.

— მართლა? საინტერესოა.

— შენთვის საინტერესოა, მე კი მთელი უბედურება გადამიწვია: ავად გახდით. ორ კვირას ვიწვქე. ამდგარა ეს ჩვენი ადგილკომი და დავუჯილდოვებდითარ საქსურსისა საგზურით — (მოსკოვი — ლენინგრადი, ვოლგაზე გავლით და სხვა). აქ ამბავი დაემთხვა ჩემსა და ჩემს მეუღლეს შორის გამართულ დიალოგს, — ეს იყო თითქმის წინადაღი:

— ახლა რას აპირებ ჩემო მშვენიერო? — ვეკითხები ჩემს თანამოსაგრეს.

— რას უნდა ვაპირებდე ჩემო კარგო?

— არა მაინც რა განზრახვა გაქვს სულიყო?

— მაინც რის შესახებ გულიყო?

— აი, იმის შესახებ, რომ საცაა ჩამოცხება და აგარაკზე მინდა გაგაგზავნო.

— გამაგზავნო? მაინც სადა? — შემიკითხა ის ირონიით.

— ვთქვათ მანგლისში.

— აა, შენ გინდა რომ დაღმართზე სადმე ავარი-ანი მოვყვე არა? — სულაც არ მომწონს მანგლისი.

— მაშ, აბასთუქანი იყოს.

— ვითომ რაო, ვაუბატონო, იმედი გაქვს, რომ იქ შეიძლება კონის ჩხირები გადავვლავლო?

— თუ ასეა, შოვი, გენაცვალე.

— შოვი, შოვი, გინდა დამანჯღრიო იქაური ავტობუსით ხომ?

— მაშ სად გინდა გენაცვალე?

— ტყუილა ნუ მიაღერებ, გინდა მაგთი მომზი-ბლო და ჩვენებურ აგარაკზე მიკრა თავი — არა? ვერ მოგართვი.

— რატომ გენაცვალე?

— იმიტომ, რომ მე აგარაკი დასასვენებლად მინდა.

— მეც იმატომ გგზავნი, რომ დაისვენო.

— სტყუი, როგორ უნდა დავისვენო. როცა მთელი ოჯახის ინვენტარი თუ არ გადახიდვ, ვერც ერთ ჩვენს აგარაკზე ოჯახურ პირობებში ვერ მოვწყობი. მაგას გარდა, ქვეყანაზე რა დაინალება განა ვერ ვაიგებენ, რომ აგარაკზე ვართ?

— მერე?

— მერე და იცოცხლე! შემომხევა შენი ნათესავების მთელი არმია: ბიცოლები, ბებები, დედაშვილ — შამი-დაშვილები. ზოგი ვითომ შემთხვევით, ზოგი იმიტომ, რომ ჩვენი სიყვარული დაუმრავლა და ველარ ძლებს ჩვენს უნაზავად და ასე დაუსრულებლივ, არჩინე, უარე,

აჲ, ლოგინი დაუთმე, თვითონ კი დაიქანცე და დაიტანჯე არა, ჩემო კარგო, სულელები აღარ არიან!

— მაშ იცი რა ვქნათ? წადი საგზურით პირდაპირ სანატორიუმში.

— არ გამაგონო. გინდა, რომ იქ სხვებთან ერთად მომთავსონ ოთახში და ზარით ამაყნონ და დამაწვინონ? ამას გარდა, მე ხომ მარტო არ წავალ, დედა-ჩემი უნდა წავიყვანო, დედა უნდა წავიყვანო, ჩემი უმცროსი დაც გამოცდებს ათავენს და ისიც უნდა წავიყვანო, ხომ არ გნებავს ვაუბატონი, რომ ნათესავებს მომწყვიტო?

— შეგატყვე, საქმე ცუდად იყო და ისევ კაპიტულაციას ვაყვები.

— მაშ რა ვქნათ? — შევეკითხე მე.

— რაც გინდა ქენი, ოლონდ რუსეთში უნდა გაგვი-სტუმრო სამოგზაუროდ და დასასვენებლად რა სჯობია მოსკოვის ნახვას, ლენინგრადში წასვლას, ვოლგაზე მოგზაურობას?

— ბუნებით დამთმობი კაცი ვარ, მაგრამ ამ წინა-დადებებზე კატეგორიული უარი განაცხადე.

— არა ძვირფასო, შენ შეუძლებელს მოითხოვ, მთელ რიგ გარემოებათა გამო ეგ წელს არ შემოიძლიან, — ვუთხარი მე.

— ამ სიტყვებს კონფლიქტი მოჰყვა, კონფლიქტს ჩემი ცოლის ცრემლები და აგრეთვე, აბალ ახალი ეპიტეტები ჩემი მისამართით.

ბიშენმა აქ პაუზა გააკეთა.

— მერე ბიშენ? — შევეკითხე მე.

— ნულარ მკითხავ — ამოხვრიოთ მომიგო მან. — სულ არ გასულა ორი საათი ჩვენი საოჯახო კონფლიქტის შემდეგ, რომ ჩვენი დაწესებულებიდან მიკრიკმა მომი-ტანა პაეტით საგზური და წერილი, სადაც ადგილ-კომი მისურებდა კარგ დროს გატარებას ამ ზაფხულ-ში. ეს იყო ჩვენს ოჯახში ქარიშხლის დასაწყისი, ჩემმა მეუღლემ განსა პაეტით, განიხილა მასში მოთა-ვებული ნობათი და წერილის შინაარსი და მრისხანედ შემომხედა.

— აი, ახლა კი მესმის ყველაფერი, — გასწურა მან კბილებში.

— რა გესმის ძვირფასო?

— შენ კიდევ ბედავ ჩემი სახელის ხსენებას, მე აქ-ლემო, შე სპილო, შე ბეჭმოტი — შე მატყუარავ? ასე კატეგორიულად იმიტომ უარპყვი ჩემი წინადადება, რომ შენ თვითონ გქონდა გაჩარბული საქმე? მე მანგ-ლისში მისტურებდი, ან სხვა შინაურ აგარაკებზე იმი-ტომ, რომ შენ რუსეთში გაგენავარა? ალბად სატრფოც გყავს, რა თქმა უნდა გეყვლება და იმისთვისაც აი-ლებდი საგზურს ხომ? მაშ თუ ასეა ესეც შენ ესეც ასეც შენ...

— და დაიწყე ჩვენი ჭურჭლის ჩხრიალი იატაკზე. ეს რიტუალი რომ შესრულა, შემდეგ სიტყვიერ იერი-შებზე გადავივიდა, სადაც გამოირკვა, რომ მე „უბეში, ტლანქი, ობიგატული“, გჩაგრავე, ვავიწროვებ მას, რომ მასზე უბედური ამ ქვეყნად არავინ არის, რომ... და საქმე მისი გულის წასვლით დამთავრდა და მეც გამო-ვიქვეცი:

— ექიმისაკენ არა? — შევეკითხე მე.

— არა, ჩვენი ადგილკომისაკენ ერთი მაგრა უნდა შევახურო ასეთი უტაქტობისათვის.

— რა უტაქტობა ჩაიღინა?

— ის, რომ ცოლიან და სიდედრიან კაცს საგზურს აძლევს და არც კი ითვალისწინებს თუ მას რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს. მაგრამ მშვიდობით, გატყობ უნდა გეჩქარებოდეს.



**დირექტორი (საწყობის მამულავეს) —** უნდა დაგაწინაურრო, საწყობიდან მონაგარიშეთ გადმოგიყვანოთ ხელფასიც მოგემატება 100 მან., ოთხასი გავიხდება.  
**საწყობში მომუშავე —** არ დამლუბოთ ამხ. დირექტორო, 400 მან. ცხოვრება როგორ შეიძლება...  
**დირექტორი — ?..**  
**საწყობში მომუშავე —** არა...მე...მე მინდოდა მეთქვა, იქ ვარ შეჩვეული მუშაობას მეთქი...

### რომანი სენის პირად

საფრანგეთში სურსათ-სანოვავის კრიზისი თანდათან მწვავედება. (გაზეთებიდან).

მზე ჩავიდა მოკისკასე და ჩამოწვა მწუხრის ფარდა, შეებინდა ხეივანში არცინ არის ორის გარდა.

არის მხოლოდ სიყვარულის ისრით გრძნობა დასტეცილი ახალგაზრდა ვაჟისა და კობტა ქალის ერთი წყვილი.

ვაჟი ამბობს: გაგიტყდები, ჩემო ტურფავ, ჩემო ღმერთო, შენ მიყვარხარ, რადგან ჩვენ ორს ბევრი რამე გვაქვს საერთო.

ეს არ არის მონაგონი ფანტაზია, ანუ მითი, დასაჯერად შემოძლია ბევრი ვითხრა მაგალითი.

რომ დარწმუნდე რატომ ღვივის გულში ტრფობის ნაპერწკალი, თუნდ ავიღოთ მეგობარო, სანიმუშოდ ჩაის წყალი.

ღლეღალამე დაუშაქრავ ჩაისა ვსვამთ ჩვენ ორივე... გეტრფი დამწვა ცეცხლის ალმა გრძნობას ვეღარ მოვერიე.

ჩვენ ერთი გვაქვს ჩვეულება, ჩვენ ერთი გვაქვს ხასიათი, წამომყევი ტურფავ ცოლად მანდე გულის ხვაშიადი.

მ—ზა.

### ჩითვას ვინ შეუწყობს

ამ გამყიდველს თითქოს ხსნიდნენ, მაგრამ... ისევ აქ არი. მუდამ გადანახული აქვს ნაცნობთათვის—...


ეს მოლარე სწორედ გვრიტს ჰგავს, ცხონდეს მისი გამომჩევი. თუ სარგებელს გამოელის შენთვის მზად აქვს ორი—...

ლუდის გამყიდველი პეტრე მომუშავე არის სწრაფი; ის რომ ქიქას მოგაწოდებს ორი წილი არის—...

რა რომ დირექტორი გახდა ვანო დადის სახე-კუშტი. ძველ ნაცნობებს აღარა სცნობს, იბერება როგორც—...

ამ მოლარეს სირცხვილისგან ერთხელაც არ შეაფაკლებს. მდიდარსა და ღარიბს ოვი ხურდა ფულს ყველას—...

რბილში ჩავექე უბილეთოდ გამყოლს ვუთხარ: მიცემს გული მიპასუხა: ფიქრი ნუ გაქვს მხოლოდ ჩამოყავე—...



- მაგ ზარბაზანს ბავშვს ნუ ანდობთ, თორემ გაუვარდება და გასკდება.
- როგორ, ისერის კიდევ?!
- არა, ხელიდან გაუვარდება, ძვირად ფასობს, რად უნდა იზარალოთ.

### „გეჯითი“ მოწაფის წერილი

#### ქართულის გაკვეთილზე

ვახტანგს გაუმარჯოს. როგორ ხარ ბიჭო! ჩვენ ძალიან მოწყენილი ვართ უშენოდ. მე არა მიშავს ეცხოვრობ კეტვით, ოღონდ გამოცდების მზადებამ ტვინი წაიღო. ნუ გეშინია, თავს არ ვიწუხებდე გაკვეთილების მომზადებით, მაგრამ ხომ იცი, ყოველდღე ცუდების წილება მანერვიულებს. ამ წერილს ქართულის გაკვეთილზე ვსწერ. რომ იცოდე როგორ მეგავრება ქართულის მასწავლებელი. იგი ახლა რაფიელ ფშაველას ლექსებს უხსნის კლასს, მე კი ამ წერილს ვსწერ მის ჯიბრზე. იცი, გუშინ მეკითხება ვინ არის „გოგია უიშვილის“ ავტორიო. მე სწრაფად ვუპასუხებ ნინო ეგნატეშვილი მეთქი, იმ წუთში ცუდი დამიწერა. ახლაც არ ვიცი რატომ. წელს დავრჩი....

მაგრამ დროებით ვსწყვეტ წერილს. უკვე ზარის ხმა ისმის. რაც მე ზარის ხმა მიყვარს, ვერ წარმოიდგენ.

#### მათემატიკის გაკვეთილზე

...ვახტანგ, ვაგრძელებ წერილს, წელს. ისთველუ დავრჩები ნაღდათ მერვე კლასში. ამას აღარ უნდა ბევრი კრიტიკი.

ახლა მათემატიკის გაკვეთილია. ვერ წარმოიდგენ როგორ არ მიყვარს ეს საგანი! ვინ გამოიგონა ეს ხათბალა. ვის რათ უნდა ამდენი ლაგამირითმები და ტრიგონომეტრები? ჩოთქზე ანგარიშს

რა ჯობია თუ ძმა ხარ? ნეტავი რომელ კლასში თავდება ეს საგანი. ამბობენ არასოდეს არ მთავრდებაო. იმ ჭკუზე ვარ სწორედ, რომ ტვინს გამოვილაყებ ამ ეშმაკების მოგონილი ჩხირველელობით.

მე არ მჭირდება მათემატიკა. შეიძლება-შეიძლება რომ ოცდა-თექვსმეტია ეს ქე ვიცი და დანარჩენი სხვამ ისწავლოს. ნუ გეშინია მე არ მოვტყუვდები მათემატიკაში.

მასწავლებელი გადაამეტრა.

მეც კარგ დღეს ვაყენებ.

გუშინ მის გაკვეთილზე ჩუმად დავიმალე დაფის უკან და როგორც კი შემოვიდა მასწავლებელი მივაძახე „ბბუჰ“—მეთქი. საწყალმა ბრაზისაგან კლასი მიატოვა და გამეგ შემოიყვანა... იმდენი ვიცი, რომ...

მაგრამ ვახტანგჯან, ცოტა დამიცადე ისევ ზარია. ჩემი გამხარებელი ზარია. შენ არ გიყვარს ამ დალოცვილის ხმა?

#### გეოგრაფიის გაკვეთილზე

...აჰა, ვაგრძელებ წერილს. იმას გეუბნებოდი, იმდენი ვიცი, რომ გარედ გამაგდეს და მშობლები მოიყვანეო მითხრეს.

— მე ვუთხარი, ჭკვანე მოტრიალით, სადღა მყავს მშობლები, ობოლი ვარ მეთქი! გავაბითურე ზორბათ. აბა, ახლა მშობლებს შევაწუხებდი ამათვის?

ახლა გეოგრაფიის გაკვეთილია. თავიდანვე არ მიყვარდა ეს საგანი. მასწავლებელი ახალგაზრდა ქალია, ისეთი ლამაზი, ისეთი სუსტი, რომ მე ძალიან მიყვარს მისი გაბრაზება. უნდა უტყვირო როგორ აბილბილდება, გაწითლდება, და შემჩნეული მაქვს, თავი ეტკინება.

კაცმა რომ სთქვას, რა საჭიროა ცხოვრებაში გეოგრაფია. მე თუ გეოგრაფია არ ვიცი, მითმაც მეშლება გზა რკინიგზის სადგურისაკენ!... ჩავჯდები მატარებელში და სადაც მინდა იქ წავალ. აბა, მაშინისტები და შოფრები რალასთვის არიან თუ ჩვენ ვისწავლით გზებს.

ვახტანგ, მთლად წყალწალებული არ გეგონო... გეოგრაფიაში ცოტა რამ მეც გამეგება. ვიცი მაგალითად, რომ ბერლინის სატახტო ქალაქი არის მარსელი, ხოლო ქალაქი მარკ-ტვენი მდებარეობს არქიტექტურის კუნძულის კონცხზე... ცუდი დამიწერა კოხტა მასწავლებელმა... მის ჯიბრზე მე ხან მძინავს გეოგრაფიის გაკვეთილზე, ხან წერილებს ვსწერ ნაცნობ-მეგობრებს...

ისევ ზარია... ცოტახანს დამიცადე, ვახტანგჯან.

#### ისტორიის გაკვეთილზე

...ჩემის აზრით, ისტორია მოწაფეების დასატანჯად არის მოგონილი. ბიჭო, რაში მეთნერესება მე როგორ ცხოვრობდნენ რომაელები საშუალო საუკუნოებში?! მერე რა უცნაური სახელებია—იულიას კესარია, ანტონიას კელატარი და სხვა ასეთები. შენ უნდა ნახო რა სასაცილოა ისტორიის მასწავლებელი! სათვალეები დაუკოსებია ცხვირზე და ჩემს ოინებზე ასეთი ლაპარაკი უყვარს:

— ადექი ყმაწვილო. მოყევი გაკვეთილი!

მე დუმლით ვუპასუხებ. შემდეგ უცებ გადავიხარხარებ, იგი მაშინვე დაეთარს გადმოიღებს და სწერს მხოლოდ ორ ასოს: „ცდ“. მე ენას გამოვუყოფ და დავჯდები...

მართალი გითხრა, ცოტა გულმოსული ვარ ამ ჩვენს მოწაფეებზე: დამცინიან, ზარბაცი ხარო, გვარცხვენო, ჩვენ კარგად ვსწავლობთ და შენ კი ჩამორჩენილი ხარო. ვაი მაგათ ცხვირს. ისინი იმიტომ სწავლობენ ბიძია, რომ მასწავლებლებს ასიაზოვნონ, მე კი არ მიყვარს ეს მასწავლებლები და ძალად გინდა შემაყვაროთ თუ?

ვახტანგჯან, ამით ვამთავრებ წერილს. შემდეგი გაკვეთილი ბუნებისმეტყველებაა, მაგრამ ვერ დავესწრები, უნდა გავიბარო. მშვიდობით. გავიბარე.

#### შენი ლეო ჯიბრადე

ვახტანგმა ეს წერილი ფოსტალიონის დაუდევრობის გამო მომავალ სასწავლო წელს მიიღო. საჩქაროდ დასწერა პასუხი და გაგზავნა „ძვირფასი“, მეგობრის სახელზე სკოლის მისამართით, მაგრამ თავისი წერილი მალე უკანვე დაუბრუნდა. ლეო ჯიბრადე სასწავლებლიდან გაერიცხათ, როგორც გამოუსწორებელი ზარბაცი და სკოლაში წესრიგის დამრღვევი.

განო. ლიაძე.

ბაჯითაზი.



— ცქრიალა კატერინას როლი თქვენ არ შეგფერით, ვერ ვათამაშებთ. — ორმოცი წელიწადია ამ როლს ვათამაშებ და ეხლა აღარ შემფერის?

„რ ე ლ ე ს“



— რეცენზენტი სწერს ჩემს შესახებ: ეტყობა როლზე ბევრი უმუშევანია, მაგრამ მის თამაშს რაღაც აკლიაო. რა უნდა იყოს ნება ის „რაღაც“? — აღბად ნიჭზე თუ ამბობს.

რაიონის ქალაქ ნალომარის საბჭოს თავმჯდომარე გოგი იმედაძემ პუნქტუალური კაცი იყო. 8 საათს მუშაობდა. მანქანატი სტრუქტურულად და ნაყოფიერად მუშაობდა. რვა საათიან სამუშაოს დამთავრების შემდეგ კი იშვიათად შევიდოდა საბჭოს შენობაში. წლიური ბალანსის შედგენის დრო მოვიდა. თავის მხრივ რაც კი დასაკეთებელი იყო ამ საქმესთან დაკავშირებით, გოგი იმედაძემ ყველაფერი გააკეთა, მაგრამ ბუღალტერიის მუშაკები მაინც ავკიანებდნენ ბალანსის გამოყვანას.

იმედაძემ საღამოობით რამდენჯერმე გაიარა საბჭოს შენობასთან და შეამჩნია, რომ ბუღალტერიის კაბინეტი ყოველთვის ელექტრონის შუქით იყო გაჩირაღდებული.

— ბეჯითი თანამშრომლები მყავს — გაიფიქრა იმედაძემ: — საღამოობითაც კი აქ დადიან და თავს აცლავენ მუშაობას.

ბალანსის დამთავრებას მაინც ბოლო არ უჩინდა.

ერთ საღამოს, იმედაძე კვლავ ქუჩაზე მიდიოდა, შეამჩნია, რომ საბჭოს შენობის ნაცნობი ოთახი ისევ გაჩირაღდებული იყო.

— ბუღალტერიის მუშაკებია. შუალაშუ უკვე გადავიდა და ეგენი მაინც მუშაობას თავს არ ანებებენ. ალბად ამალამ აპირობენ ბალანსის შედგენის დამთავრებას. მოდი, შევივლი და ვნახავ საქმე როგორ მიდის. — გაიფიქრა იმედაძემ და განათებულ ოთახისაკენ გაემართა.

როცა კარი შეაღო დამხდურებს ის არც კი შეუმჩნევიათ, ხოლო თვით თავმჯდომარეს კი იქ მოულოდნელი სანახაობა დაუხვდა:

ბუღალტერიის მუშაკები მაგიდას შემოსხდომოდნენ და... ბანქოს თამაშობდნენ.

ორი ეპიზოდი.

როდესაც დირექტორი ქელეხაშვილი პარტორგის დავალებით აამმართველოში გამოიძახეს, მან დაწესებულებაში მისვლ: შეუძლებლად მიიჩნია.

— რად არ მოდის, ავად ხომ არ არის? — კითხულობდნენ თანამშრომლები.

— არა, სხვა მიზეზით.

— რა მიზეზით?

— მანქანა ჰყავდა სხვას წაყვანილი და ფეხით მოსვლა არ შემიძლიაო.

— როგორ! დაწესებულებიდან 400. მეტრის დაშორებით ცხოვრობს და ფეხით მოსვლა არ შეუძლია?

— ვერ დავარწმუნეთ.

ქელეხაშვილს მანქანა საცესებით ჩამოართვეს, რადგან არ ჩასთვალეს მის დაწესებულებისათვის საჭიროდ ამგვარი სატრანსპორტო ხარჯების გაწევა.

— პირადი სარგებლობისათვის მუდამ შეგიძლიათ ტაქსით ისარგებლოთ! — ანუგეშეს ის.

ამის შემდეგ სამი თვე გადის და ქელეხაშვილს ტაქსომოტორით არ უსარგებლია. ამას წინათ მე-9 ნომერს უცდიდა ცოლთან ერთად ნავთლულში წასასვლელად.

— ტაქსით წავიდეთ, უფრო ჩქარა მივალთ! — უთხრა მეუღლემ.

— რათა. ტრამვაით ჯობს. ჩვენ ფული დაგვეზოგება და სახელმწიფოს ბენზინი.

— ფეხით სავალი, რომ დაგვიჩიება?

— ფეხით გავიაროთ. ვერ წარმოიდგენ ჩემო ძვირფასო რა მარგებელია ადამიანის ორგანიზმისათვის ფეხით სიარული. სიარულზე უკეთესი ფორმა ფიზიკური კულტურისა არ არსებობს. მოსიარულე ადამიანი მთის ნაკადივით ხალისიანი. ტრამვაი უკვე მოდის. შედი ჩემო მეგობარო.

სიკიბო.



დიდი ბოროტი იყო გამართული ივანესა და მის მეუღლეს შორის. სრულიად უბრალო ფაქტორმა წარმოშვა ეს ინციდენტი, რომელიც კონფლიქტში გადავიდა და შემდეგ კინალამ ხელჩართულ ბრძოლაში არ გადაიზარდა:

ეს ფაქტორი გახლავთ პატივცემული ტომას ალვა ელისონის მიერ გამგონილი სიმპატიური ხელსაწყო—ტელეფონის აპარატი. სხედასხვა მოსაზრებათა გამო ივანე უარს ამბობდა ბინაში ტელეფონის აპარატის დადგმასზე.

მაგრამ ანამ კატეგორიულად უარყო ყველა მოტივი და ცხარე ბრძოლის შემდეგ ტელეფონი დაადგმევინა ივანეს.

— თუ ქალი ხარ, ნუ დამიწყებ წარამარა რეკას, გადატვირთული ვარ და ნუ მომაცდენ, — გააფრთხილა ივანემ ანა.

ანამ პატიოსანი სიტყვა მისცა, რომ არ შეაწუხებდა და მართლაც მტკიცედ ასრულებდა მას.

აქ შეიძლება დავამთავროთ ეს მოთხრობა: სრულიად უბრალო სიუჟეტი. კაცმა ტელეფონი დაიდგა სახლში. მოვლენა ერთობ ჩვეულ ბრივი და ყოველდღიური. ერთერთი ატრიბუტი ჩვენი პროგრესისა და კულტურის.

ანა დამშვიდდა, რადგან წადილი აისრულა. ივანეც დამშვიდდა ანას დამშვიდების გამო. ოჯახის ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა და სიყვარული, დროებით უკანა პლანზე გადაწეული, ისევ დაიდრა წინა პლანისაკენ.

მაგრამ არ ეძინათ გარეშე ფაქტორებს—მეზობლებს. რაღაც ეშმაკად, მთელს იმ დიდ სახლში ტელეფონი მხოლოდ ივანეს აქვს. რა თქმა უნდა, კომენდანტი ყველას აუწყა ეს ამბავი და თან დასძინა, რომ ეს კულტურული საქმე მისი—კომენდანტის მონაწილეობის გარეშე არ გაკეთებულა.

პირველი თვითონ კომენდანტი შევიდა ივანესას და პირველმა მან დარეკა.

— ალო! სამმართველოა? მთავებუხს სთხოვეთ! სილაში სილევანი გიპატაკებ, რომ ბინის ქირა მთლიანად შეტანილია. ასე. ნახვამდის!

შემდეგ ცოლ-ქმარს მოუბრუნდა და კომპლიმენტი უძღვნა:

— დიდებული აპარატი! მშვენივრად ისმის, როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზედაც. მომილოცავს.

მცირე ხნის შემდეგ მეზოვე შემოვიდა.

— მომილოცავს, ტელეფონი გაგიკეთებიათ. აბა, ერთი დავრეკო!

— რა კარგი აპარატი!— შეაქო მანაც და ოთხიოდე თხლაშის შემდეგ გავიდა.

იმ დღიდან დაიწყო.

— შეიძლება დავრეკოთ?— კითხულობს მეზობელი ნომერი ოთხი.

ეს მიდის, მეორე შემოდის,

— ანა, ხომ არ გასხოვთ იზოდრომის ტელეფონის ნომერი?

— ანა ეძებს ნომერს, მეზობელი ლაპარაკობს.

მეორე მიდის, მესამე შემოდის.

პირველ დღეებს კიდევ არა უშავდა, მაგრამ შემდგომში სულ სხვანაირად დატრიალდა საქმე: რომ მეზობლები რეკავდნენ ეგ კიდევ არაფერი; უბედურება იმაში იყო, რომ მათ თავიანთ ნაცნობებს შეატყობინეს ივანეს ტელეფონის ნომერი. ამის შემდეგ ივანეს და მის მეუღლეს ერთი წუთით აღარ ჰქონდათ მოსვენება.

აი, მოვიდა დადლილი ივანე, მას დაუხვდა განაწამები ანა, რომელიც ვიღაცას უპასუხებს:

— დიახ, ვიყავი, მაგრამ შინ არ არის. დარეკეთ ერთი საათის შემდეგ. სად წავიდა? რა მოგახსენოთ...

სადილად სხდებიან. ეს არის, ივანემ პირველი ლუკმა ჩაიდო და გაისმის ზარი. ივანე მილს იღებს და იხრჩობა, ვინაიდან დაუღეჯავ ხორცს ჰყლაპავს, რათა უპასუხოს:

ერთერთი მეზობლის ბიძა ჩამოსულა სოფლიდან და სადგურიდან რეკავს, რათა შეეგებონ. ივანე მიდის შენატყობინებლად, ხოლო როცა ბრუნდება, ხედავს, რომ ტელეფონთან არის მისი მეუღლე:

— ალო! ვინა? ასეთი არ ცხოვრობს ამ სახლში... სადა? მეორე სახლშია? ბოლიში, მაგრამ ჩვენ ვალდებული არა ვართ მთელს კვარტალში ვიზბინოთ...

— რაშია საქმე?— კითხულობს ივანე.

— რაშია და ვიღაც თავხედი მოითხოვს, წავიდეთ და მეორე სახლიდან მის ნათლიას დავუძახოთ ტელეფონთან... აი, ვიღაც კიდევ იძახის... ალო! რა გადავცე? რომ ერთ კვირაში მოგცემენ შვებულებას?... მერე შინ რომ მოხვალთ, ვერ ეტყვიან?... ამასობაში კერძი ცივდება კარებზე აკაკუნებენ.

— ერთი წუთით... თქვენი ტელეფონი...

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე? აქაური ვარ... თბილისში ვცხოვრობ. აგერ ქუჩაში მივიდიოდი და ტონზე მიგხვდით, რომ სახლში ტელეფონი გქონიათ. ჩემი ძალუა წევს სამეანო ინსტიტუტში და მინდა გავიგო, ვაჟი ჰყავს თუ ქალი...

და ეს ვიღაც გამვლელიც რეკავს ხოლო როცა ტყობილობს, რომ მის ძალუას ვაჟი ეყოლა, სიხარულისაგან ულოცავს ივანეს და ანას და სვამს კიდევაც ახალდაბადებულის სადღეგრძელოს. შემდეგ ამ ამბავს ტელეფონითვე ახარებს ცოლს, ბიძას, ძმას, ბებიას და ბაბუას.

ამასობაში დამდება...

მარტოდ დარჩენილი ცოლ-ქმარი უსიტყვოდ სტოვებს ხელუხლებელ სუფრას.

— ბოლიში, შეიძლება თქვენი ტელეფონი?

— უკაცრავად, ერთი თქვენი ტელეფონი... ან იქიდან:

— ბოლიში, სთხოვეთ ერთი გიტო გვერდანიძეს. დიახ, მეოთხე სართულზე ცხოვრობს... ერთი აირბინეთ და მოიყვანეთ ტელეფონთან...

— თუ შეიძლება დაუძახეთ ქეთო ბაზნი-ნაშვილს, მეხუთე სართულზეა მოიყვანეთ აპარატთან...

ანა და ივანე (როცა შინაა) დარბიან სართულიდან-სართულებზე, ეძახიან მეზობლებს, მოჰყავთ, მიჰყავთ, უპასუხებენ, ცნობებს აძლევენ.

ხანდისხან ნაშუალამევსაც გაისმის ზარის წკრიალი. ივანე ხენვით წამოდგება.

— ალო! რომელ საათზე გადის? მე რა ვიცი, აქ სადგური კი არა, კერძო ბინაა...

როცა ძალიან გაჭირდა საქმე, ივანემ და ანამ გადასწყვიტეს ტელეფონის თავიდან მოშორება. ამის საბოლოო მიზეზი გახდა დღე ორშაბათი:

ივანე სამსახურში წავიდა, ანა—ბაზარში. მაგრამ გზაზე ანას მოაგონდა, რომ ეროვნულ გაღერებაში გამოფენა გაიხსნა და იქითკენ გაემართა. ორიოდე საათის შემდეგ გამოვიდა გამოფენიდან და ბაზარში გამოიარა. ცხადია, ამასობაში შეაგვიანდა.

სახლს რომ მოუახლოვდა, ხმაურობა შემოესმა:

— დაიცავით რიგი! რიგი დაიცავით!— ჰყვიროდა მეზოვე და ნომრებს არიგებდა.

თურმე ტელეფონის ლაპარაკ-მოწყურებულმა მეზობლებმა ბევრი აკაკუნეს დაროცა დარწმუნდნენ, რომ მასპინძლები შინ არ არიან, რიგი გამართეს და ნომრებიც დაარიგეს... განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდა ქეთო, რომელიც საერთოდ დღეში ათჯერ რეკავდა და რომელსაც იმ სადამოს სახელის დღეობა ჰქონდა.

ანამ კარები გაუღო აბონენტებს, შეიპატოქა, ხოლო თვითონ ქმართან გაიქცა. ყველაფერი უამბო და ერთი იღვაც მისცა. ამ იღვამ ისე გაახარა ივანე, რომ კინალამ იქვე აკოცა ცოლს.

ამის შემდეგ ივანემ ორი საათის შვებულება აიღო და მეუღლესთან ერთად წავიდა.

სადამოს მრავალი სტუმარი იყო ქეთო აბზიანაშვილისას. სახელის დღეობის გამო აუარებელი საჩუქარი მისვლოდა ქეთინოს. იყო მუსიკა, ტანგო და ბლიუზი.

კაკუნი გაისმა. ქეთომ ფართოდ გააღო კარები. მას და მის სტუმრებს გულის ამაჩუყებელი სურათი გადაეშალათ თვალწინ: კარებში იდგნენ სახეგაბრწყინებულნი ანა და ივანე, მათ შუაში ჩაეყენებინათ მონტიორი, რომელსაც ხელთ ეყურა ივანეს ტელეფონის აპარატი წარწერით:

„ჩვენს მშვენიერ ქეთინოს!“

გაისმა ტაში და შეძახილები.

სანამ მონტიორი აპარატს დადგამდა, სხვებმა უკვე შემოიყვანეს ხაზი.

და როცა თამადამ დაიწყო პირველი სადღეგრძელო, მას სიტყვა ტელეფონის წკრიალმა შეაწყვეტინა.

— ალო! ქეთინოს დაუძახეთ? მე თვითონ ვარ... მე ვარ...—ლაპარაკობდა აღელვებული ქეთინო და მას ყურს უგდებდნენ უზომოდ შვებულნი ანა და ივანე.

ალ. მალულარი.

# სიმონ ალასაბან ჩრევა-ჩვენება

თუ როგორ უნდა უფროსი იდეებს ცოდნის ქმარი ხაერთოდ და უფროსე ხასკონტ-  
როდის გაძლიერების შემდეგ, თქმული დავითიანის ხმაზე



რაკი შეგვითხვა საქმე ასეთი,  
შეირთე ცოლი, აღარ ხარ ერთი  
გადამცდარხარ კაცი,  
თუ რომ დედაკაცი,  
ვერ შეარჩიე!

ვარგოლეს ქალი სადგამურათა,  
სახლში არ გეჯდეს უცხო მდგმურათა, —  
ეს შენ ჩაიწერე,  
თანაც დაიჯერე  
უმჯობესია!

გათხოვებამდე ქალი კონტაობს,  
კაბა-ტუფლებზე მამასთან დაობს,  
და ის იმდენს იზამს,  
რომ მიალწევს მიზანს —  
მოიკახმება!

საჭირო არის ეს ყველაფერი,  
ქმარი რომ სძებნოს თავის საფერი.  
რა ნაოს ასეთი,  
უნდა ეყო მას ერთი  
შეაჯეროს გული!

ქმარი თუ მკვამ იღებავს ტუჩებს,  
თუ სახეს ითხუპნის, თმას იხუპუპებს  
და დარბის, — გაჰკიცხე, —  
რათ სჩადის-ჩაჰკითხე  
თავს ვის აწონებს?

დედაშენს უჭირს ტანგოს თამაში,  
ვერც რეკორდსმენობს სიგრივე ხტომაში,  
ცოლი კი წუწუნებს!  
მარიფათს უწუნებს  
და ამბობს ასე:

მე დედაშენი მაგიჟ-მახელებს!  
განგებ დაბერდა აცხინჯ-ახელებს!  
გააგდე სოფელში,  
არ მოკვდეს ჩვენ ხელში  
რა ძალა გადგია?

მე გეუბნები, ხომ გესმის ყურში?  
ძმა თავზე გაზის — ის ბაიყუში!  
ივან წაიყვანოს,  
თავში ქვა იზალოს  
დედა მისიც.

რძლები, მახლები, გარუჯულები,  
და ცხენისთავა ჩემი მულები,  
ველარ ავიტანე,  
სადმე წაიყვანე  
ნუ ხარ უჯიშო!

თუ ცოლმა წაყვლა თითონ ინება:  
კეთილი საქმე მოიგუნება,  
რადგან, თუ არ გინდობს,  
ეშმაკობს და ფლიდობს?  
მიეცი ვიხა.

თვალი დაგეფსოს, — არ ვარ ლაშანი?  
კირმა წაგიღოს, — არა ვარ ნაზი?  
მომიტანე „მეხი“  
შენ დაგეცეს მენი  
დაგაყარე მიწა!

გასკდი და გაგჯი, იხთზე მუცლით,  
მე ტუფლი მინდა მეტრიან ქუსლით!  
თუ კი გულობს გული  
სახაზინო ფული  
შენს ხელში არ არი?

თუ ამ სიტყვით ის „გიმკობს“ ყურებს,  
ბავშვებს არ უგლის ცუდად გიპურებს!  
ეცადე გაგებას,  
რომ მახის დაგებას  
არ გიპირებდეს.

თუ ცოლი სახლში სულ თავზე ზრუნავს,  
ოცდაათს საათა სარკის წინ ბრუნავს,  
და ოდესკალონი  
მას მთელი ბალონი  
არ ყოფნის დღეში.

მას არ იზიდავს — (თუ თვალით ნახო)  
საქმე საქვეყნო, არც საოჯახო,  
არ ვარგა — მაშინა,  
არც გარეთ, არც შინა,  
ვით მოქალაქე!

დედა რა ქმარი ერთ ადგილას ზის,  
ცოლი მორთული კი სტუკანის გამხირს!  
ჩემი ლაპარაკი  
არ არის არაკი  
ფინილობდეს ყველა!

შენ ხელფასი გაქვს შემოსავალი,  
ფეხდაფენ მოსდევს მას გასავალი,  
გიშველის მხნეობა  
და მომპირნეობა  
იცხოვრებ რიგზე.

მაგრამ თუ ცოლი საქმეს უგანებს,  
გადგია თავზე და დაგყაყანებს:  
„ქმარო, შენ მომიტე!  
„შუბა ბოდეოტიკი“  
უნდა მივიდო!

არ მიწერია ქლჩაში გავლა,  
თარად დაგიჩრებს ვე შენი სწავლა!  
ნიკოციეს ცოლი —  
მე გამიხდა ტოლი:  
იცვამს ჩემსავით!

სიმონ-ალა

## ს ა ნ ა კ ლ ე ო

(გადმოქართულებული მენდესიდან)

მაისის მშვენიერი დღე იყო, როდესაც მე და ინესა ქალაქგარედ წავედით სასეირნოდ.

გაჩუმებულნი, ნელი ნაბიჯით მივყვებოდით ტყის ბილიკს, ხარბად ვისუნთქავდით მაისის დამათრობელ სურნელებას, ვუსმენდით ჩიტების მოუსვენარ ყრიაბულს და ალტაცებაში მოვყავდით მწვანე, ლონთქოშა ფოთლების ნელ შრიალს.

ინესამ პირველმა დაარღვია სიჩუმე.

— სანაძლეოს ვდებ, რომ ამ წუთში შენ ჩემზე ფიქრობ, — მეუბნება ის მომღიმარი თვალებით.

— სცდები, ჩემო ძვირფასო, — ვუბასუხებ მე.

— გამოტყდი, რომ მე მართალს ვამბობ.

— არა, ჩემო მშვენიერო, არა ხარ მართალი.

— მაშ მითხარი, — რაზე ფიქრობდი ამ წუთში?

— მე ვფიქრობდი აი, იმ ყვავილზე, ხედავ, თავს რომ არხევს და ნიავს ეაღერსება.

— აჰა, მაშ სანაძლეოც მომიგია... განა შენ არ დამეთანხმები, რომ მე იმ ყვავილს ვგვევარ? მე და ის ყვავილი ხომ ერთმანეთს ვგვევართ, ხომ მართალს ვამბობ?..

მე ვეთანხმები.

ერთი წუთის შემდეგ ინესა კვლავ არღვევს სიჩუმეს.

— სანაძლეოს ვდებ, რომ შენ ეხლაც ჩემზე ფიქრობ.

— გარწმუნებ, ჩემო მშვენიერო რომ არა.

— ნუ ჯიუტობ, სულერთია, სანაძლეოს წააგებ.

— არა, მოვიგებ.

— წააგებ მეთქი, — გეუბნები. აბა მითხარ, რაზე ფიქრობდი ამ წუთში?

— ჩიტზე, რომელიც ჰგალობს ვარდის, ან იასამანის ტოტზე შემომჯდარი.

— აჰა, კიდევ მოვიგებ... განა მე ისევე არ ვეურტულებ, როგორც ის ჩიტი ვარდის ტოტზე, განა მე ისეთივე ლამაზი არა ვარ, როგორც ის ჩიტი?

ინესა მართალს ამბობს და მეც ვეთანხმები მას.

ერთი წუთის შემდეგ ინესა კვლავ მეუბნება:

— მესამედ და უკანასკნელად ვდებ სანაძლეოს, რომ შენ ამ წუთშიაც ჩემზე ფიქრობ.

— არა, მშვენიერო, ცას ვიმოწმებ, რომ არა.

— აბა მითხარ, რაზე ფიქრობ?

— მე ვფიქრობ მერცხალზე, რომელიც ზის ერთსადაიმადვე ბუდეში და მუდმივი სიყვარულით უყვარს მხოლოდ თავისი ბარტყების მამა.

ინესამ გულიანად გადიკისკისა:

— ოო, ეხლა კი... წავაგე!..

ალათონი.

# ჩანგითა და კოქსით



მეზობელი, იმისა

— ეს მეზობელი ის ხალი უნდა იყოს შარშან რომ ჩაუხუტა კავიარეთ.  
 — არა, იქ წვერებიანი შეგოფე მუშაობდა.  
 — შეგოფე სხვა, მაგრამ ნავივი ხომ ძველია.



თავსარი სენიანიხა



1. მოქალაქე, დოცენი სხუ ფოფე ჩამდნჯერ უნდა მოგ მარტო.



ოჯარი სისუთავე



შეთლი დღეს წმენდა ნადირ იოახს, ასუფავებდა მაგრამ სასუელი არ დაჯე ვიდრე...



ქიმიის „შევააკლი“

— ჩას გავს ეს: ამდენი თანამშრომლებმა ერთი ტუქიდან იგორ უნდა დალიონ წყალი!



მთქა ნახეი

— ნაშენი მიუღია ჩვენს თინიოს, მაგრამ გზაში ხალაქ სულმოდად დაუსვრია. მარტო იმის ამოკითხვად შეიძლება, რომ სხუფოფეში ფრადი მკავ.



2. სხვა რომ არა იყოს-რა კი-ხევა ხომ ივით.



2. დაწებულების დახუფოების არ მთავო ხელი.

კორა-სმენი-ჩაქავს უსხურთი



1. მოვიდა ერთი მეორე მხარე და გაწმინდა ქალაქი ხავეკო ელენგებებიან.



2. მოვიდა მეორე მხარე და გაწმინდა-ვახუფოთვა ქალაქი ხავეკო ელენგებებიან.



3. მოვიდა კვად პირველი მეორე მხარე და გაწმინდა ქალაქი...



სახლი ჰპურევაკვანა

მეიმი — ჩაწერე, კეთი: ავადმყოფობის მუშაობის ხსათი-ანანის გაწე, დაგონი-მუნი, გამომწვევი მიზეზი-უხუფოაო.





ჩემი დაბრუნება — ჩახტვის მიფათურებ ჯიბეებზე ხელს? ხუდინანი — იმისათვის მიაჯან, რომ არაფერი დაგეკარგოს!

# მოსერხებული

- ბიჭო, ილიკო!
- რა გინდა ილარიონ?
- რა მოვატანინოთ?
- რა უნდა მოატანინო, ხვინწი არა გაქვს ჯიბეში!

შეგობრები მაინც დასხდნენ რაიკავშირის ავჯალის სასადილო-ში. სასადილოს გამგემ კმაყოფილებით მოიფშენიდა ხელეები.

ცოტა ხნის შემდეგ კიდევ შემოვიდა სამი კაცი, მათში ვინმე ბესარიონ ნ.-ძე, რომელთანაც ილარიონს ძველი ანგარიშები სქონდა.

- ილიკო წამოხტა:
- ე, ბიჭო, ფულიანი ხალხი შემოვიდა!
- ილარიონიც წამოხტა:
- ვაი, ამას ვის ვხედავ! ეს ხომ ჩემი მტერი ბესარიონია!
- ახლა უნდა შემოვკრა.
- ილიკო ეცა და ისევ დასვა.
- არ გაბრიყვდე, ილარიონ: არ შემოკრა ბესარიონს!
  - რატომ?
  - შე სულელო, იცი ახლა სად მუშაობს ეგ ბესარიონი?
  - ჰო?

— სად და ლუღის გამყიდველათა... სამი თვეა, იქ მუშაობს. — კი მაგრამ, როგორ მოვითმინო აბა? — როგორ და მოითმინე. მე მაკალე.

ილარიონი დაშოშმინდა. ილიკომ ოფიცინატს დაუძახა, ერთი ბოთლი თავისთვის მოატანინა და ორიც ბესარიონის კამპანიას მიუტანა თავის ხელით. იქ დიდის თავანით მიუძღვნა ეს ბოთლები, ორიოდ გადაჭრა და ბესარიონს ჩასჩურჩულა ყურში:

— არ გაგიწყრეს ღმერთი და არაფერი სთქვა ილარიონზე. იცი ახლა სად მუშაობს ეგ? ბესარიონი კიდევ შეშინდა. თან ცნობისმომარეობამაც შეიპყრო.

— სად?

— სად და ფეხსაცმელების არტელშია მოწყობილი. შეუძლია ხუთი ჩექმა ერთად შეგიკვროს.

— ე ბიჭო, მიშველე... შემარიგე... პატივისცემა ჩემზე იყოს. — ჰო და, თუ გინდა, ჩემო ბესარიონ, ღვინისთვის მადლობა გადაუხადე და ცოტა ხნის შემდეგ მოიპატიჯე, ახლა შენც ჩუქ და ეც სუ.

ილიკო ილარიონს დაუბრუნდა. ცოტა ხნის შემდეგ, როცა ბოთლი დაცარიელდა, ბესარიონი თავის ფეხით მოვიდა, ილარიონი გადაჭკოცა და გადაიპატიჯა. რასაკვირველია, ილიკოც თან წაიყვანა.

სულ რალაც ნახევარი საათის შემდეგ, შეზარხოშებული ყმაწვილები ტკბილად ღლინებდნენ.

როცა კერძები გამოვლიათ, ილიკომ მიმტანს დაუქნია ხელი.

- მოიტა ღორის მწვადები.
- ღორისა არა გვაქვს, — ამაყად უპასუხა მიმტანმა.
- მაშ ძროხის იყოს.
- არც ძროხისაა.
- ცხვრისა?
- ცხვარი არ დაგვიკლავს.
- მაშ სამზარეულოში რა გაქვთ ცხელი?
- ცხელი წყალია ლობიოს მოსახარშად.

ილიკო წამოხტა. — ახლავე გასწი, მწვადებიც შეწვი და ცოცხალიც მოიტანე, თორემ იცი, რა დაგემართება? იცი აქ რა ხალხი ვართ? აი, ჩემი მოწმობა.

ჯიბეში ჩაიყო ხელი და უშველებელი წიგნაკი ამოათქვა. მიმტანი გაფითრდა და გამგესთან შეეპარდა. მოკლე თათბირის შემდეგ წვადები აშიშინდა და ცხელ წყალში ცოცხალი თევზები გადაყირავდნენ.

რამდენიმე წუთში სუფრა ისევ აივსო. ბესარიონ და მისი ამხანაგები მოწიწებით შესტყროდნენ უზარმაზარი მოწობის პატრონს ილიკოს, რომელიც სამი კაცის ოდენს სვამდა და კიდევ უფრო მეტს სჭამდა.

ილიკომ მიმტანი კვლავ მოიხმო და დაუკვეთა: მწვადები, ისევ ცოცხალი, ლავაშები და ღვინოები. ჯიბიდან მოქსოვილი აბგა ამოიღო და ჩუმად უთხრა:

- აბა, ამაში ჩააწყვე, უნდა წავილოთ, შორს მივდივართ.
- ქეიფის დასარულს ბესარიონმა ყველას გასაგონად გაჩხადა:

- არ გაბრიყვდეთ და ფული არ ამოიღოთ!
- აჰ! — წამოხტა ილიკო. — ფული მე უნდა გადავიხადო: თქვენი შერიგების გამო ყველაფერს მე ვიხდი.

დიდი პატივი შეიქნა, მაგრამ ბესარიონმა თავი მოიკლა და არავის დაანება: მან გადაიხადა ყველაფრის ფული, მათ შორის ილიკოს მიერ დაკვეთილი ხორაგისაც.

დილით ადრე გაიღვიძა ილიკომ. მას დიახაც უნდოდა ძილი, მაგრამ მეუღლემ წამოაგდო ლოგინიდან:

- შე თვალბდასავსებო, რომ წამოწოლილხარ და ხვრინავ, ჩვენ შიმშილით გვკლავ?
- ა? აჰ! შიმშილითო? მოგიკვდეთ ჩემი თავი! გააღე ეგე, რომ დიდი ზანდუკია.

სკივრს თავი ახადეს. ერთი ქრიაშული შეიქნა. შიგ გატეხილი აბგა იღო. სიხარული ჩადგა ოჯახში.

ცოტა ხნის შემდეგ ილარიონიც მოვიდა.

— ბიჭო, რა მოწმობა იყო ის, გუშინ რომ უჩვენე იმ ხალხს? არ გაუსკდათ გული? მერე რა მოწიწებით გეპყრობოდნენ!

— ვენაცვალე ამას! — ჩაიხითხითა ილიკომ. — ეს მაქმევს პურს.

და ჯიბიდან წითელ ლიდერინის ყდაში ჩასმული წიგნაკი ამოიღო.

ეს იყო მუქის საწვევრო ბილეთი, რომელსაც საწვევრო შესატანის გადაუხდელობის გამო დიდი ხანია, რაც ვადა გასვლოდა.

კ. მნობოფელი  
ა. სალმალაშანიძე

## მონეტარული


„ხარაგაულის სასადილოში თავისუფლად დათარეშობენ ძაღლები“.  
წიფლაგაყელი



— მომიტანეთ ხუთი ხარჩო ოთხი იატაკზე დადგბთ და ერთი მაგიდაზე?  
— იატაკზე რატომ?  
— არ მინდა, რომ ხაკუთარ კერძში ძაღლები ჩამეზიარონ.

## ქოლგავ, ძვირფასო!

„ჩხარის რაიპროკურატურის შენობაში წვიმა ჩამოდის, რაც ხშირად მუშაობას აფერხებს“.



გამომძიებელი—დაწვრილებით მოგვიყევით საქმის ვითარება, რომ ყველაფერი ნათელი გახდეს!  
მოწმე—ეგ მხოლოდ იმ შემთხვევაში შემიძლიან, თუ ერთ ქოლგას მეც მათხოვებთ, თორემ წვიმამ უკვე საცვლებამდე გამატანა.

## გეგმარა

„სოფ. მაჩხვარეთის (ლანჩხუთის რ.) ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა დაუდევრობით სიმინდის თესვის გეგმა არ შესრულდა“



— ეხ, ბუღბუღო, ეს გეგმა რომ შენი შესახრულებელი იყოს, მეც შენებრ ვიგალობებდი.

## დაპირკვეული კაბი


„ხესტაფონის სასადილოში კერძის დაგვიანებით მიტანის გამო ხშირად ხდება უსიამოვნება“




— წამო, აბესალომ, სასადილოში შევიდეთ, დაგპატავებ.  
— გმადლობ... დღეს ველარ მოვასწრებ.  
— რას?  
— შევბუღების აღებას, სასადილოში ხომ ერთი დღის ლოდინი მაინც საჭიროა, ვიდრე სადილს ეღიროსოდე?

## სკამებზე რა დაეშავეს?

ნანახულების (წულუკიძის რ.) კოლმ. წევრები შ. ჯობიძე, ა. და ბ. უგულავეები, გ. მოსინაუა და სხვები ღოთობენ და ხშირად ჩხუბობენ. „დაპირკველი“



— რა ამბავია?  
— ჩვეულებრივი: ჯობიძე და უგულავეები სკამების სიმკვიდრეს ამოწმებენ.



ავტორი ამ სცენას მოკრძალებით უძღვნის რკინიგზის იმ სადგურის მუშაკებს. რომელნიც შიგ თავისთავს დაინახავენ...

(სცენაზე სადგურის უფროსი ვალერიანი, მისი რეილარიონი, რედკლემის წვერები მიშა და ტრიფონი, ცენტრიდან ჩამოსული კომისიის წევრები კარპეზი და ნიკიფორე, მგზავრი ვარდენი.)

ფარდა იხსნება

**ხადგ. უფროსი:** დისპეტჩერ... დისპეტჩერ... 1001 მატარებელი ქე ვაფრინე ურეკისაკენ. რაიო ვგ მატარებელი მახარაძეში უნდა გამეგზავნა? შე კაცო, შენ არ მითხარი „ნანადუ“ მიეცი კვერთხიო. მახარაძეში ნანადუ ხომ არ გაიგზავნებოდა. ფიქრი ნუ გაქვს ამხანაგო დისპეტჩერ, ეხლავე დაუძახებ ურეკს რომ უკანვე გამომიგზავნოს ის მატარებელი და ისევ... კი... დიახ: ფიქრი ნუ გაქვთ. ფიქრი. (ეძანის მისრეს) ილარიონ! (შემოდის ილარიონი)

**მეისრე ილარიონი:** აქა ვარ ამხანაგო უფროსო, **ხადგ. უფროსი** — დევილუბეთ კაცი ილარიონ.

**მეისრე ილარიონი:** — რა მოხდა, ხომ არავინ გადაგმცვალათ ამხ. ვალერიანი?

**ხადგ. უფროსი:** ილარიონ, წედან — რომ ხრეშით დატვირთული მატარებელი გავგზავნე ურეკისაკენ თურმე იგი მახარაძეში უნდა გამეგზავნა.

**მეისრე ილარიონი:** ბეტრეფ ადრე რომ გეთქვა, ქე გადოუსწრებდი თავს, მარა ახლა ვეღარ დავეწვევი მგონია. ქე შევატყვე იგი მატარებელი რომ გზა აბნეული იყო, მაგრამ ვეღარ გავიბედეთ მეთქვა. (გადის) **ხადგ. უფროსი:** — რავა მეთარსება საქმე ა? რაღა

ჩემ მორიგობაში ხდება ყველაფერი ავი საკილაუხო საქმეები? (შემოდის ილარიონი)

**მეისრე ილარიონი:** — ამხ. უფროსო, თქვენ ვილა-ცა დიდი კაცები გკითხულობენ...

**ხადგ. უფროსი:** — რავა შეატყვე დიდიკაცებია თუ პატარები?

**მეისრე ილარიონი:** — სულ მოკიკიკებულნი აქვთ ამხანაგო უფროსო კისრები ვარსკვლავებით, რუსულ-ობენ და რუსულობენ.

**ხადგურის უფროსი:** — (აძღვეს გასაღებს) არიქა შეუძენი ჩემს კაბინეტში და უთხარი უფროსიკ ეხლავე გიანლე-ბათქვა. (მეისრე გადის, სადგურის უფროსი თავის-თვის ლაპარაკობს) ეხლა კი წახდა საქმე და ეს არის. ვგ თჯახტორები ცოტა გვიან მაინც ჩამოსულიყვნენ, საქმე მაინც ცოტაოდნად გამოემსწორებია. (გადის)

(სცენა სადგურის უფროსის კაბინეტშია გადატანილი)

**კარპეზი:** — თქვენ ბრძანდებით სადგურის უფროსი?

**ხადგურის უფროსი:** — დიახ, ამხ. უფროსო.

**ნიკიფორე:** — როგორ მიდის დავალებათა შესრუ-ლების საქმე?

**ხადგ. უფროსი:** — ვაწვები ამხანაგო უფროსო, ვაწვები. სულ ბდღვირს ვადენ საქმეს.

**ნიკიფორე:** — რაკი ბდღვირს ადენ, მაშ საქმე გამო-ვა რაღა.

**ხადგ. უფროსი:** — გამოდის ამხ. უფროსო, გამოდის.

**კარპეზი:** — ამხ. ვალერიანი, ჩვენ შემოვიარეთ სად-გურის ტერიტორია, სატვირთო სადგური, ლიანდაგ-ბი, მუშათა საერთო საცხოვრებელი, სადგურის შენო-ბაც და ძალზე უწესრიგობას აქვს ადგილი. რა მოხდა რატომ არ სრულდება დავალებები?

**ხადგ. უფროსი:** — იმიტომ არ სრულდება, უფროსი ვეუფლებით ამხ. უფროსო, ვეუფლებით.

**ნიკიფორე:** — რადგანაც ვუფლებით მაშ საქმე შე-დგეს მოიტანს.

**ხადგ. უფროსი:** — მოიტანს ამხ. უფროსო, მოიტანს.

**ნიკიფორე:** — რატომ არ სრულდება დატვირთვა გადმოტვირთვის გეგმები? მუშაობის გრაფიკი, მგზავ-ერთა კულტომობაზურება?

**ხადგ. უფროსი:** — შეფერხებაა ამხ. უფროსო, შე-ფერხება...

**კარპეზი:** — მაინც ვისთან გაქვს ეს შეფერხება?

**ხადგ. უფროსი:** — გზის ოსტატ იაკინთესთან, უმფ-ლოსო.

**კარპეზი:** — გზის ოსტატს რაზე უჩივით?

**ხადგ. უფროსი:** — თქვენ აღბად ნახავდით ლიანდა-გებში დაყრილ ნაგავს. სატვირთო სადგურთან დამდ-გარ აყროლებული წყლის გუბეს, სადგურის შენობის დაზიანებულ კერს და იატაკს...

**ნიკიფორე:** — მერე მაგაში გზის ოსტატია დამ-ნაშავე?

**ხადგ. უფროსი:** — აბა ვის დავადო ბრალი, ამ სა-დგურში და მის ტერიტორიაზე მე და მის მეტი უფ-როსები არავინ ნუშაობს.

(შემოვიარდება მგზავრი ვარდენი, ზელში ძველი ტომარა უჭირავს)

**ვარდენი:** — ვინ ბრძანდება აქ სადგურის უფროსი?

**ხადგ. უფროსი:** — მე გახლავართ ამხ. მგზავრო.

**ვარდენი:** — რაია აგი? (უჩვენებს დანეულ ტომარაზე)

**ხადგ. უფროსი:** — ისრის საწმენდი „ტრიპაკა“ გახ-ლავთ, (შემოვიარდება მეისრე ილარიონი).

**კარპეზი:** — მაინც რაშია საქმე, ამხანაგო მგზავრო?

**ვარდენი:** — რაღა რაშია ამხანაგო, დილას ერთი ფუთი ბურის ფქვილი მიგებარე „ხრანენიაში“ შესანა-ხად და ძარტო დაგლეჯილი ტომარა დამხვდა. ფქვი-ლი თავებს შეუჭამიათ...

**ნიკიფორე:** — ფიქრი ნუ გაქვთ ამხ. მგზავრო, თქვენ თქვენსას მიიღებთ...

**მგზავრი:** — აბა თქვენ იცით ამხ. უფროსო, ეხლა მე მატარებელს უნდა გავყვე და სალამოს ჩამოვიარ და დამხვდროთ უნდა (გაბრის).

**კარპეზი:** — რაშია საქმე ამხ. ვალერიანი, განა მგზავ-ერთა მომსახურება ამას ჰქვია?

**ხადგ. უფროსი:** — ჩემი ბრალი არაფერია ამხანაგო უფროსო. 20 ხაფანგი მაქვს გამოწერილი, მაგრამ არც ერთი არ მიმიღია და თავებს მე ხომ ყარაულად არ დაუდგები.

**ნიკიფორე:** — როგორც სჩანს მე-18 პარტკონფე-რენციის გადაწყვეტილებებიდან თქვენ საჭირო დას-კვნები არ გამოგიტანიათ...

**ხადგ. უფროსი:** — როგორ გეკადრებათ ამხ. უფროსო! სულ ზებირად შევასწავლე ყველას კონფერენციის გა-დაწყვეტილებები. (ეძანის ილარიონს) (შემოდის ილარიონი)

**მეისრე ილარიონი:** — რას გვიბრძანებთ?

**ხადგ. უფროსი:** — გაგაცანით თუ არა მე თქვენ მე-18 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებები?

**მეისრე ილარიონი:** — მაგისთვის რავა შეგარცხე-ნთ ამხ. უფროსო, მაგი — ჩემთვის პირველი გაცანებაა, კონფერენციის გადაწყვეტილებები. მე სახლში ვკით-ხულობ. თქვენ, კი მაგაზე როგორ შეგაწუხებდით. (გადის)

**კარპეზი:** — განა ეს არის სადგურის კომანდირის სახე? განა ვგრე უნდა მუშაობა? მიდი მაინც და ნახე შენი მეზობელი სადგური, გადახედი იქ როგორ სან-დომიანად იბრძვიან გეგმებია შესრულებისათვის, გრა-ფიკით მუშაობისათვის. წესრიგისა და სისუფთავისათვის.

**ხადგ. უფროსი:** — რომ გვენობებიათ ამხ. უფროსო, თუ მუშაობდით უეჭველად ყველა ნაკლოვანების გა-მოვასწორებდი, წიხჭიპურზე მივაყენებდი, და როცა ამას შემდეგ კიდევ გვიჩანებდით ასეთი ფაქტები აღარ დაგზავდებთ. ( თავისთვის) მგონია დავარწმუნე. აღბად მაღლობაც გამოიძახდეს.

**მიშა:** — ამხ. სტუმრებო, სადგურის უფროსს ბეგ-რის ნურაფერს დაუჯერებთ, ვგ აქ ლაყბობს საქმის გა-კეთების მაგიერ.

**ხადგ. უფროსი:** — ვაი, ჩემს გაპირებას, — ყველა-ფერი ასე დაწერილებით რაფერ ვაიგო? (ქერის მო-იფხანს. ფარდა ეშვება)

## უერად-უერადი



— რა საუცხოო თმა აქვს ამ ქალს.  
— მართლაც რომ საუცხოოა, ყოველ ღვეში იცვლის ფერს.

ლ. ძნელაძე



— გავიგე, — ჩვენი წარმოების ფინანსიურ მდგომარეობას ირკვევენ.

— შეუბნებიან, — შენ დირექტორი ხარ ერთმართველი, შენ საქმეში არავის არ აქვს უფლება ჩაერიოსო. ვანა ჩემი მუშაობის შემოწმება ჩემს საქმეში ჩარევას არ ნიშნავს?



— ოჰ! საიდან ვაგიჩნდა ფულები პიერ?  
 — სამუშაო ვიშოვე.  
 — დროებით?  
 — მუდმივი! ვმსახურობ მარსელის სასამართლოში მოწმედ კომუნისტების წინააღმდეგ.



საუბარი ზოსტაში

(შრომის თემისათვის)

## სამტრედიის სამკითხველო.

სახურავში წყალი ჟონავს,  
დაბლა ვირთხებს გააქვთ ლულო,  
ასეთია სამტრედიის  
რაიონის სამკითხველო.

წვივის ღვარებს ვერ აკავენს  
ტაშტი, ვედრო, ჯამი, გობი,  
თავისაგან დახრულ წივნებს  
ეკიდება უკვე ობი.  
აქ ჩანგალი ნიანგისა  
იქნებოდა მჯობზე მჯობი.

გ. სამტრედიელი.

## ჩოხატაურისათვის

ფოსტას ჩოხატაურისას  
სხვა ვერ შეედრება ეგონებ.  
საათობით, რომ ურეკო  
სადგურს შენ ვერ გააგონებ.

ჩვენი ტელეფონისტები  
ალარც ერთი არ იქება,  
თუ რამე სთქვი გამოგლანძლავს,  
თმები ყალყზე დაგიდგება.

სთქვით ასეთი სიტყვის სროლა  
აბა როგორ შეჰფერს ასულს:

„ჯანაბამდიც გზა გქონია,  
მიეწიე შენს გადასულს!..“

თუ ნიანგო შენი ჩანგლით  
მათ ეწვევი კარგს იქმ მგონი,  
იქნებ მაშინ დაეიწყედეთ  
უდიერი ლექსიკონი.

ზასა.

## ბაღელების ჩივილი.

(ლანჩხუთის რაიონი)

სოფელ ჭალის მკვიდრ მცხოვრებლებს  
გვიბრწყინავდა ყველას თვალი.  
— სამკითხველოს გვიშენებენ! —  
იძახოდა კაცი, ქალი.


და... კედლები ააშენეს,  
მაგრამ გადის ორი წელი,  
წიგნის ნაცვლად იქ თვალს გვტაცებს  
ჩიტის ბუდე, თავის ხვრელი.

შენობას არ გააჩნია  
არც ფანჯრები, არცა კარი.  
ნიანგოჯან, მის მშენებლებს  
ჩანგლის წვერი მაგრად ჰკარი.  
ბუჭგუბი.

## ქედის აბანოში

ნახ. კანდელაკისა

ქედის კომუნალურ აბანოში წყალი ხშირად წყდება.  
ბუჭგუბა



მორიდებულად შევალე შრომის თემის  
ფოსტის კარები. დარბაზში ქალიშვილი იჭ-  
და ფანჯარასთან და ბახმაროს მთებს გასც-  
ქეროდა. რამდენიმე ხნის ლოდინის შემდეგ  
ნელი ხმით მივმართე:

— ბოდიში ქალიშვილო, თუ შეიძლება  
ერთი მარკა მომიყიდეთ, რომ წერილზე და-  
ვაკრა.

— უმარკოდ გაგზავნეთ, არა უშავს, მა-  
ინც წავა.

— კი მაგრამ რატომ მირჩევთ ასეთი უწე-  
სობა ჩავიდინო?

— აბა ჩვენ მარკა არა გვაქვს, და მარტო  
წესიერი რჩევა რას გიშველის.

რაღა გზა იყო, გადავწყვიტე უმარკოდ  
გამეგზავნა.

— იქნება წებო მომცეთ ქალიშვილო,  
კონვერტი ჩვენს კოოპერატივში ვიყიდე და  
კოტა არ იყოს უხარისხოა, არ იწებება.

— ბედი არ გქონია, სწორედ გუშინ გამი-  
ტყდა გუმერაბიკის ბოთლი, რად უნდა დ-  
წებვა, საიდუმლო რაიმეს ხომ არ სწერ?

— საიდუმლო არა მარა...

— აბა დაუწებავად გაგზავნე, შენ კი არა  
მეც ასე ვგზავნი ხშირად.

რა გზა მქონდა დავეთანხმე.

— ერთი ნატანებთან დამალაპარაკეთ, სა-  
ჩქარო საქმე მაქვს. — ვთხოვე მე და ხელი  
მაშინალურად წავიდე ტელეფონის მილისა-  
კენ.

— ხაზი დაზიანებულია, მოიცადეთ და  
ერთ კვირაში ვაკეთდება.

მე ისე გავბრაზდი, რომ უთუოდ უხეში  
სიტყვებით გაუმასპინძლებოდი იმ ქალი-  
შვილს, მაგრამ ამ დროს ქუჩიდან მომესმა  
სიმღერა:

„გოგოთურ და აფშინაო,  
ბიჭო რამ შეგაშინაო.  
ნატანებში თუ საქმე გაქვს  
მიდის ჩვენი მაშინაო.“

ამას მღეროდა შოფერის თანაშემწე ახალ-  
გაზრდა ხალტურიკო. მე გადამაეიწყა ჩე-  
მი გაბრაზება და ხელად გავექანე მანქანისა-  
კენ.

— აბს. გამგე, როგორც კი ხაზონი წავისვია, მაშინვე შეწყდა წყალი, ვთხოვე ჩემი  
ფული დამიბრუნოთ.

— ფულს ვერ დაგიბრუნებთ, რადგან ქვითარი უკვე გამოქერილია. მაგრამ ხაზონის  
მე საშორებლად შემოიარეთ ხელად და უფასოდ შეგიშვებთ.

ნადმი.

თელავის მანქანა-ტრაქტორის მუშაკები არ იცავენ ტრაქტორების რეპარატორის გამოაუშავების ნორმებს.

შეიძლება ისტორიის მრავალი კურონი მოეპოვება თანამდებობათა შეთავსების დარგში, მაგრამ არა გვეგონია ისტორიის ახსოვდეს იმის მსგავსი შემთხვევა, რომლის შესახებ ქვევით გვინდა ვილაპარაკოთ და რომელსაც აღვნიშნავთ ჰქონდა სოფელ მაიაკოვსკში.

მოგესწებათ, მაიაკოვსკში არის ფოსტატელეგრაფი, რომელსაც ჰყავს, უფროსი ირაკლი ცომაია. ამ რამდენიმე თვის წინად ფოსტატელეგრაფს დიდი უბედურება შეემთხვა. წარმოიდგინეთ თურმე ასეთი საშინელება დატრიალდა: მთელ რაიონში არ აღმოჩნდა კაცი, რომელიც იკისრებდა აღნიშნული დაწესებულების დამლაგებლობას! ცხადია დიდი გარღვევა მოელოდა სოფელ მაიაკოვსკის ფოსტას, რომ თვით გამგეს ირაკლი ცომაიას არ ეხსნა დაწესებულება მოსალოდნელი საშინელებისაგან. მან თავი შეუყარა თანამშრომლებს და განაცხადა:

— მე, ძვირფასო ამხანაგებო, დიხ მე, როგორც ასეთი და თქვენი ერთგული უფროსი, მივდივარ პირდაპირ სამსხვერპლოზე. ვკისრულვ შეთავსებით დარაჯ-დამლაგებლის თანამდებობას.

მეორე დღეს ფოსტის უფროსი ცოცხით ხელში ჰგვიდა ოთახებს, ასუფთავებდა მაგიდებს, სწმენდა შინებს.

— რა არის, კაცო, ეს! კარგად ვერ გამისუფთავე მაგიდა? — უყვირის რეგისტრატორი დამლაგებელს. უკანასკნელი მორჩილად ასრულებს განკარგულებას, როგორც დამლაგებელი, მაგრამ როგორც უფროსი იქვე უყვირის თავის ხელქვეითს:

— სწორად გადასწერე მაგ ქვითარი, თორემ მოგაძრობ როგორც პროპკას!

ამასთანავე ფოსტის უფროსი ყოველი თვის ბოლოს კობტად აწერდა ხელს შეთავსებული დამლაგებლის თანამდებობის ხელფასის უწყისზე.

ხომ არ შეგიძლია, ამხანაგო ნიანგო, შენი ჩანგალი შეთავსებით ირაკლა ცომაიასაც უთავაზო?



— ამბობენ ხერხი სჯობია ღონესო. ჩვენ კი ორივე შეგვიძლია გამოვიყენოთ ჩვენს ტრაქტორებს ღონეს დიდი აქვთ თვითვეული მათგანი 1800 ჰექტარს მოხნავს ჩემონტიდან ჩემონტამდე. ჩვენ ამ ღონეს ხერხიც მიუმატოთ ნორმად ამის ნახევარი დაუწესოთ და გვემას 200 პრეტენციით შევასრულებთ.

ჩვენნი უოსკა

კურკანტელას (ჩოჩი) იმ „მზის უნახავს“ თქვენც „გაუცურებინათ“. თორემ ასე არ გაურისნდებოდით:

- ყველა როგორ შეიყვარე?
ყველამ როგორ შეგიყვარა?
რატომ ერთხელ ჩემმა გულმა,
შენგან აღარ გაიხარა?
აწ გათავდა ჩვენი საქმე,
ჩვენ ვერავინ შეგვარიგებს,
და შენსავით მე სხვა ქალი
მახეს ვერსად ვერ დამიგებს.
ეს იცოდე, შენ უჩემოთ
ვერ გადადგამ ფეხს აქედან,
სხვას რომ გაყვე, გეფიცები,
ატირდება მისი დედა.

შიიღეთ ჩვენი ნიანგური რჩევა,—კარგი იქნებოდა, რომ თავს დაანებებდეთ იმ ქალს და ასეთი ლექსების წერასაც.

იაკინთეს (ლანჩხუთი) ვინმე გ. ლ-ძეს უკვირებთ იმის გამო, რომ მას მესამე შეკითხვაზე თქვენთვის პასუხი არ მოუცია და ასეთი „შეურაცყოფა“ მოუყენებია:

- ყრუ ხართ, სამჯერ შეკითხვებით?
გ. ლ-ძემ „მკვახეთ“ მომამახა.
თქვენ ბევრი ხართ, მე კი ერთი
ამოდენა სად მაქვს ძალა?

თქვენ იმართლებთ თავს შით, რომ მისი პირველი და მეორე პასუხი თუმცა კარგად გაიგონეთ, მაზა, ვერ გაიგეთ.

და ნიანგო თქვენ გამსჯელო როგორია მისი ქცევა, მისცხეთ, თორემ განდიდების დიდი აქვს მას „სისხლის წნევა“.

თქვენ რომ მისი პასუხი ვერ გაიგეთ, — თქვენი ბრალია: შეიძლება ნაწილობრივ მისი ბრალიც იყოს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი, კი არა.

აკ—ლიას (აბაშა) ფსევდონიმიც მოხერხებულად მოგინახავთ. „აკ—ლია“ — ორი სახელი შემოკლებით, — აკაკი და ილია.

ეს კიდევ არაფერი, რომ თქვენი ლექსი არ იყოს „მონაქაფი“ აი, როგორ იწყებს თქვენი ეფროსინე თავის ქმრის მიმართ გოდებას:

- ჩემი ქმრის გადაშკიდე
ამას მოველოდიო,
დამიტირეთ, დამქოლეთ,
დამადევით ლოდო,
არ იქნა ჩემს ქმარს დროზე
ვერ-რა შევაგონეო,
ან შევაბამ ქვას უელზე,
სხვა აღარ მაქვს ღონეო....

გეტყობათ, ჩვენს კლასიკოსებს კითხულობთ, რაც მოსაწონია. მხოლოდ სხვისი სტრიქონების მითვისებას ვერ მოგვიწონებთ.